დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

Local Council (Sakrebulo) of Dmanisi Municipality

1700 ქ. დმანისი, წმინდა ნინოს ქ. 41
ტელ.: 0 (360) 22-24-224, 22-16-40

41,Tsminda Nino Street, 1700 Dmanisi town, Georgia
Tel.: 0 (360) 22-24-24, 22-16-40

30 აპრილი 2012 წელი ქ. დმანისი

დმანისის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №17

საქართველოს ,,საბიუჯეტო კოდექსის'' 88-ე მუხლის თანახმად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს 2011 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, დანართის თანახმად.
2. განკარგულება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **შამილ ალიევი**

თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი არის ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დმანისის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი მიღებულია და დამტკიცებულია 2010 წლის 10 დეკემბერს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №17-63 დადგენილებით, ორგანიზაციული და ფუნქციონალურ კლასიფიკაციის ჭრილში და ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილება გაწერილია ყოველ-კვარტალურად.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი შედგენილია გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლის და შემდგომი სამი საბიუჯეტო წლის საპროგნოზო მაჩვენებლების გათვალისწინებით.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დამტკიცებულია 3676.1 ათასი ლარის ოდენობით მათ შორის: გადასახდელები დაგეგმილია 850.0 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 150.0 ათასი ლარი და არაფინანსური აქტივების კლება 100.0 ათასი ლარი, ასევე გათვალისწინებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ფინანსური დახმარებები 2576.1 ათასი ლარის ოდენობით, საიდანაც გათანაბრებითი ტრანსფერი შეადგენდა 2486.1 ათას ლარს და მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 90.0 ათას ლარს.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დაზუსტებული იქნა 2011 წლის 12 იანვარს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №1-1 დადგენილებით რომლის მოცულობამ შეადგინა 3807.9 ათასი ლარი, აღნიშნული ცვლილება გამოწვეული იყო წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთის 131.8 ათასი ლარის მიმართვით ხარჯების დასაფარავად.

საანგარიშო პერიოდში დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტში შეტანილი იქნა ცვლილებები 15-ჯერ, რაც გამოწვეული იყო კლასიფიკაციის მუხლებს შორის შიდა გადაადგილებებით 4 შემთხვევაში, ჭარბი შემოსავლების დაფიქსირებით 8 შემთხვევაში აღნიშნული მატება მოდის საწარმოთა ქონების, სასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადის, სხვა შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და წლის დასაწყისში არსებული ნაშთის ზრდით, რომლის მოცულობამაც შეადგინა 1021.8 ათასი ლარი, ხოლო საქართველოს მთავრობის განკარგულებებით გაიზარდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების, ინფრასტრუქტურის პროექტების განსახორციელებელი და სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაციისათვის 1952.3 ათასი ლარის ოდენობით, რის შედეგადაც წლის ბოლოსათვის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებულმა მოცულობამ შეადგინა 6650.2 ათასი ლარი, მათ შორის: გადასახადები 1470.0 ათასი ლარი, გრანტები 4528.4 ათასი ლარი, სხვა

შემოსავლები 390.0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლება 130.0 ათასი ლარი და წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთი 131.8 ათასი ლარი მიმართული იქნა ხარჯების დასაფარავად.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების ფაქტიურმა მოცულობამ შეადგინა 7584.8 ათასი ლარი ანუ დაგეგმილ მონაცემებთან შედარებით 114% (გეგმა 6650.2 ათასი ლარი), მათ შორის: გადასახადები შესრულებულია 148.4% (გეგმა 1470.0 ათასი ლარი, ფაქტი 2181.4 ათასი ლარი) აღნიშნულის გადაჭარბებით შესრულება გამოწვეულია საწარმოთა ქონების ნარჩენი ღირებულების ერთჯერადი გადახდით და სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადების გადახდით, ასევე დაფიქსირდა სხვა შემოსავლების და არაფინანსური აქტივების კლების შემოსავლების გადაჭარბებით შესრულება რომლის მოცულობამაც შეადგინა ორივე შემთხვევაში 168.2% (გეგმა 520.0 ათასი ლარი, ფაქტი 875.0 ათასი ლარი), აღნიშნული შემოსავლების გადაჭარბებით შესრულებიდან გამომდინარე 2012 წლის 01 იანვრის მდგომარეობით გარდამავალი ნაშთი დაფიქსირდა 1376.8 ათასი ლარი.

რაც შეეხება დმანისის მუნიციპალიტეტის 2011 წლის გადასახდელების შესრულებას იგი წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო 6650.2 ათასი ლარი, ფაქტიურად კი ათვისებულია 6339.2 ათასი ლარი ანუ 95.3% მათ შორის:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 98.9% (გეგმა 2631.5 ათასი ლარი, ფაქტი 2602.6 ათასი ლარი).
- თავდაცვა 95.8% (გეგმა 52.0 ათასი ლარი, ფაქტი 49.8 ათასი ლარი).
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 97.0% (გეგმა 210.8 ათასი ლარი, ფაქტი 204.4 ათასი ლარი).
- ეკონომიკური საქმიანობა 89.0% (გეგმა 2020.1 ათასი ლარი, ფაქტი 1707.6 ათასი ლარი).
- საბინაო კომუნალური მეურნეობა 96.7% (გეგმა 1063.5 ათასი ლარი, ფაქტი 1028.7 ათასი ლარი).
- ჯანმრთელობის დაცვა 100% ანუ დაგეგმილი იყო 35.0 ათასი ლარი.
- დასვენება, კულტურა და რელიგია 99.0% (გეგმა 324.2 ათასი ლარი, ფაქტი 320.9 ათასი ლარი).
- განათლება 97.9% (გეგმა 97.7 ათასი ლარი, ფაქტი 95.6 ათასი ლარი).
- სოციალური დაცვა 91% (გეგმა 118.4 ათასი ლარი, ფაქტი 107.7 ათასი ლარი).

აღნიშნულ ხარჯებიდან

ა) შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა 812.0 ათასი ლარი რაც მთლიანი ხარჯების 12.8%-ს შეადგენს.

ბ) საქონელი და მომსახურებაზე 971.5 ათასი ლარი ანუ 15.3%, მათ შორის ოფისის ხარჯები 9.4%. კომუნალური ხარჯები 2.6% და ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა შენახვის ხარჯები 3.3%

გ) სუბსიდიები – 6.9%

დ) გათანაბრებითი ტრანსფერიდან საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის შესავსებად გრანტის სახით

გათვალისწინებული იქნა 1300.0 ათასი ლარი რაც მთლიანი ხარჯების 20.5%-ს შეადგენს.

ე) სოციალურ უზრუნველყოფაზე 129.0 ათასი ლარი ანუ 2%.

ვ) არაფინანსური აქტივების ზრდაზე 2690.8 ათასი ლარი ანუ 42.4% მათ შორის: ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე 2632.8 ათასი ლარი საიდანაც გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვაზე დაიხარჯა 1456.6 ათასი ლარი ანუ 23%, დასუფთავების ღონისძიებებზე 97.1 ათასი ლარი 1.5% ბინათმშენებლობაზე (სახურავების შეკეთება) 301.8 ათასი ლარი 4.8%, წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე 106.3 ათასი ლარი 1.7%, გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე 170.3 ათასი ლარი 2.7%, ცენტრის კეთილმოწყობის, სოფლის კლუბების, რიტუალების დარბაზების მოწყობა რეაბილიტაციაზე, ფასადების და მიმდებარე ტერიტორიების რეაბილიტაციაზე 518.4 ათასი ლარი ანუ 8.2% და სპორტული მოედნების, სასაფლაოების შემოღობვის, სარიტუალო აღჭურვილობის შეძენაზე 225.8 ათასი ლარი ანუ 3.6%.

აღნიშნული სამუშაოების დაფინანსება ძირითადად ხორციელდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებით, რომლის ოდენობაც შეადგენდა 1952.3 ათას ლარს, საიდანაც ათვისებული იქნა 1766.1 ათასი ლარი ანუ 90.4%, დარჩენილი 186.2 ათასი ლარის სამუშაოები ათვისებული იქნება 2012 წელში.

2011 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან საკრებულოს შესაბამისი ბრძანებებით გაცემული იქნა 91.4 ათასი ლარის ერთჯერადი დახმარებები და სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების, გზების, სასმელი წყლის სისტემის სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო თანხები, ასევე პროგრამა „პატრიოტის“ განხორციელებისათვის სატრანსპორტო ხარჯებისათვის გაცემული იქნა 6.0 ათასი ლარი.